საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 16

ბათუმი 22 04 2021 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 67-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდგომში - გენდერული თანასწორობის საბჭო) წევრთა რაოდენობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 8 (რვა) წევრით.

2. დამტკიცდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

ა) ფატი ხალვაში - უმაღლესი საბჭოს წევრი - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ცოტნე ანანიძე - უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მარინე გვიანიძე - უმაღლესი საბჭოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

დ) გიორგი მანველიძე - ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

ე) ირაკლი ჭეიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

ვ) ილია ვერძაძე - უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

ზ) ნადიმ ვარშანიძე - უმაღლესი საბჭოს წევრი - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

თ) დავით თედორაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

3. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 მარტის N14, 2017 წლის 19 აპრილის N17 და 2017 წლის 20 აპრილის N18 ბრძანებები.

4. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს. ბრძანება გამოქვეყნდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

5. ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების გამოქვეყნება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტმა.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მი.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე